



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

4

**„ზოსტვარდისფერი“ საქართველოს
ეკონომიკური განვითარების ძირითადი
ბამონევიები**

ვლადიმერ ჯაკაძე

ექსპერტის აზრი

2013



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ვლადიმერ პაპავა

**„პოსტვარდისფერი“ საქართველოს ეკონომიკური
განვითარების ძირითადი გამომწვევები**

4

2013



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

მთარგმნელი: რუსუდან მარგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2013 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-5483-9

ეკონომიკური რეფორმები პოსტკომუნისტურ საქართველოში

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ოცნლელუში საქართველოს ეკონომიკამ დიდი ცვლილებები განიცადა.¹ განსაკუთრებით მძიმე გამოდგა დამოუკიდებლობის პირველი წლები, როცა ყოველგვარი გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე მყოფი ქვეყანა² შეიარაღებულ კონფლიქტებში აღმოჩნდა ჩათრეული. მნიშვნელოვანი შეცდომები იქნა დაშვებული მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას, განსაკუთრებით – სანყის ეტაპზე.³

ყველა ამ შეცდომის შედეგად 1993 წელს მთლიანმა შიგა პროდუქტმა 1990 წლის მთლიანი შიგა პროდუქტის 30,73 პროცენტი შეადგინა; 1994 წელს ინფლაციის წლიურმა დონემ კი, 7 840 პროცენტს გადააჭარბა.⁴ ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია, სამწუხაროდ, გეგმურობიდან ჰიპერინფლაციაზე გადასვლა იყო.⁵

1995 წელს წარმატებით განხორციელებულმა ფულის რეფორმამ⁶ მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევასა⁷ და 1996-1997 წლებში მთლიანმა შიგა პროდუქტის თითქმის 24-პროცენტიან ზრდას შეუნყო ხელი.⁸ წარმატებულ რეფორმებს მხარს უჭერდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები.⁹

საქართველოს ეკონომიკაზე 1998 წლის რუსეთის დეფოლტის უარყოფითმა გავლენამ,¹⁰ ხოლო შემდგომ ეკონომიკის რეფორმირებისას დაშვებულმა შეცდომებმა¹¹ ქვეყანაში საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისი გაამწვავა.¹² 2003 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის 52 პროცენტს საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა.¹³

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში დაიწყო კორუფციასთან ბრძოლა,¹⁴ რის შედეგადაც საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისი დაიძლია. 2005 წლიდან, ახალი საგადასახადო კოდექსის წყალობით, საგადასახადო ტვირთი მნიშვნე-

ნელოვნად შემცირდა, ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო პროცედურები არსებითად გამარტივდა, ძალაში შევიდა ახალი შრომითი კანონმდებლობა, რომელმაც დაქირავებულებთან ურთიერთობებში დამქირავებლებს სრული თავისუფლება მიანიჭა.¹⁵ ამან საქართველოს ნეოლიბერალური რეფორმების გამტარებელი ქვეყნის იმიჯი შეუქმნა.¹⁶ მაგრამ იმავდროულად დაფიქსირდა საკუთრების უფლების შელახვის უამრავი ფაქტი,¹⁷ მსხვილი ბიზნესი მთლიანად მთავრობის კონტროლს დაექვემდებარა;¹⁸ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და შესაბამისი სამსახურის გაუქმებამ ეკონომიკის მძლავრი მონოპოლიზაცია გამოიწვია,¹⁹ ხოლო მასობრივი კორუფციის გაქრობას, რაც ძირითადად მექრთამეობაში გამოიხატებოდა, ელიტარული კორუფციის შემამოფოთებელი მასშტაბები მოჰყვა.²⁰ ეს დარღვევები ხასიათით ნეობოლშევიზმის სადარია, ხოლო საქართველოს ეკონომიკა სააკაშვილის მთავრობის ხელში უფრო იყო „ნეოლიბერალური ფანტაზია“,²¹ „ავტორიტარული ლიბერალიზმი“,²² „ნეოლიბერალიზმისა და ნეობოლშევიზმის სიმბიოზი“.²³

მმართველობის ავტორიტარულმა სტილმა, რომელიც დესპოტიზმის ელემენტებით იყო გაძლიერებული, სააკაშვილის რეჟიმი ნეობოლშევიკურად, ხოლო მისი მთავრობა „ვარდისფრად“ ორი მიზეზის გამო აქცია: ჯერ ერთი, ხელისუფლებაში ვარდების რევოლუციით მოვიდა, მეორე კი — გახუნებულ ბოლშევიკურ „ნითელს“ მოგვაგონებდა.²⁴

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის²⁵ შემდეგ ევროკავშირმა საქართველოსათვის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შეთავაზების მზადყოფნა გამოავლინა,²⁶ თუმცა წინასწარ მთელი რიგი პირობების შესრულებაც მოითხოვა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაზრის რეგულირების ევროპული ტიპის ანტიმონოპოლიური ინსტიტუტის შექმნა-ამუშავება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, კერძოდ კი — სასურსათო უსაფრთხოების ნაწილში. სამწუხაროდ, სააკაშვილის მთავრობამ, ამ პირობების დაკმაყოფილების შეფერხების გზით,²⁷ ევროკავშირთან მოლაპარაკებების პროცესის დაწყების გასაჭიანურებლად ძალა არ დაიშურა.

2009 წლის დასაწყისში ხელი მოეწერა შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას, რომელიც შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოს-

თვის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღების შესაძლებლობას ითვალისწინებს.²⁸ ამ მიმართულებით რეალური ნაბიჯები, თუნდაც მოლაპარაკებების დაწყების დონეზე, დღემდე არ გადადგმულა.

ლარიზი ქვეყნის მომხმარებლური ეკონომიკა

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის მოდელი, სამწუხაროდ, დაფუძნებულია არა იმდენად წარმოების ზრდაზე, რამდენადაც მოხმარების სტიმულირებაზე, რამაც მრავალი უარყოფითი შედეგი მოიტანა.

ეკონომიკის რეალური სექტორის სათანადო განვითარების გარეშე მოხმარების სტიმულირებამ მოიტანა ის, რომ იმპორტი ექსპორტს თითქმის 4-ჯერ აღემატება.²⁹ ექსპორტის სტრუქტურაში 22 პროცენტი მსუბუქ ავტომობილებზე მოდის, 8 პროცენტი კი – ჯართზე. რადგანაც საქართველოში ავტომშენებლობა არ არსებობს, ექსპორტის ეს 22 პროცენტი შედეგია იმისა, რომ საქართველო მეზობელ ქვეყნებში მსუბუქი ავტომობილების გასაყიდად შემომტანის საშუაშელო ფუნქციას ასრულებს. იმპორტისგან ექსპორტის მნიშვნელოვანი ჩამორჩენა, ის, რომ ექსპორტის 30 პროცენტი საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორის პროდუქტს არ წარმოადგენს, საქართველოს ეკონომიკის შედარებითი განუვითარებლობის დასტურია.

საქართველოს ეკონომიკის წარმოებაზე უფრო მოხმარებაზე ორიენტაციის ფაქტს ისიც მოწმობს, რომ კერძო და სახელმწიფო მოხმარების ჯამური მოცულობა მთლიანი შიგა პროდუქტის 90 პროცენტს შეადგენს.³⁰

წარმოების შედარებითი ჩამორჩენილობის პირობებში მოხმარების ზრდას საზღვარგარეთიდან შემოდინებული ფულადი სახსრები უზრუნველყოფს: „ვარდების რევოლუციის“ პირველ წლებში ეს უპირატესად პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა³¹ და საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და მათი ნათესავების ფულადი გზავნილების ხარჯზე ხდებოდა.³²

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც წესი, უძრავ ქონებაში აკუმულირდებოდა, რაც მთლიანობაში ქვეყნის შიგნით დამატებით ფინანსურ რესურსს ქმნიდა. ძირითადად საბანკო სისტემით შემოდინებული ეს ფინანსური რესურსი ბინათმშენებლობის ზრდას უწყობდა ხელს, რომელიც, შესაბამისი სახელმწიფო კონ-

ტროლის არარსებობის პირობებში, კარგად ცნობილ „საფინანსო პირამიდის“ სისტემად იქცა.³³

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს მრავალმა მოქალაქემ სხვადასხვა მიზეზით დატოვა ქვეყანა. ამჟამად საქართველოს მოქალაქეთა თითქმის 20 პროცენტი (მილიონზე მეტი) საზღვარგარეთ ცხოვრობს (მათ შორის 2/3 – რუსეთში, დანარჩენები კი – ძირითადად საბერძნეთში, თურქეთში, უკრაინაში, აშშ-სა და ესპანეთში).³⁴ მხოლოდ საბანკო არხებით შემოსული ფულადი გზავნილების ოდენობა ყოველწლიურად 1 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს. ეს ფული ძირითადად პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება.

დანაზოგების დაბალი მაჩვენებლიდან გამომდინარე, კომერციული ბანკების საკრედიტო რესურსების ზრდისა და შევსების ძირითად წყაროს ევროპულ საფინანსო ბაზრებზე აღებული სესხები წარმოადგენდა, რითიც, თავის მხრივ, ძირითადად საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისა და სამშენებლო ბიზნესის დაკრედიტება ხდებოდა. მაგრამ რადგან საქართველო საყოფაცხოვრებო ტექნიკას არ აწარმოებს, გამოდიოდა, რომ საქართველოს კომერციული ბანკების სამომხმარებლო კრედიტები ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას ხელს უწყობდა ამ ტექნიკის მწარმოებელ ქვეყნებში. მაშასადამე, საქართველოს საბანკო სექტორი აღმოჩნდა მესამე ქვეყნების ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების დაკრედიტებისთვის საზღვარგარეთიდან სასესხო საშუალებების მოზიდვის ფინანსური რგოლი.³⁵

ამრიგად, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში ფინანსური რესურსების შემოდინების ზრდამ ახალი მოთხოვნა გააჩინა, მაგრამ წარმოების განვითარებას ხელი ვერ შეუწყო.

გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის დაწყების შემდეგ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლა მკვეთრად დაეცა. ეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამაც განაპირობა, თუმცა, როგორც ამ ომში დაზარალებულ მხარეს, საერთაშორისო თანამეგობრობამ ფინანსური დახმარების სახით საქართველოს 5,8 მილიარდი აშშ დოლარი გამოუყო,³⁶ რამაც მას გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის ზემოქმედება შედარებით იოლად გადაატანინა.

ეკონომიკის რეალური სექტორის არასაკმარისად განვითა-

რების გამო საკმაოდ მაღალია უმუშევრობის დონე – 13-15 პროცენტის ფარგლებში მერყეობს,³⁷ თუმცა ადგილობრივი და უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მოსახლეობის სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტთა 70 პროცენტი თავს უმუშევრად მიიჩნევს.³⁸ ეს, პირველ რიგში, იმით აიხსნება, რომ სამუშაო ძალის 50-57 პროცენტი თვითდასაქმებულია,³⁹ ხოლო ამ შრომით მოპოვებული შემოსავალი იმდენად დაბალია, რომ ეს ადამიანები ამგვარ სამუშაოს დასაქმებად ვერ აღიქვამენ.

თვითდასაქმებული მოსახლეობის 80 პროცენტი სოფლის მეურნეობის ნილად მოდის. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მთლიანი სამუშაო ძალის 54 პროცენტი მხოლოდ მთლიანი შიგა პროდუქტის 8 პროცენტზე ოდნავ მეტს ქმნის. ეს ვითარება აჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის განსავითარებლად საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატური პირობების მქონე საქართველოში არის ნაკლებნარმოების აგრარული კრიზისი. თავის მხრივ, ეს გარემოება პასუხობს კითხვას, თუ რატომ მოდის სასურსათო კალათის 80 პროცენტი იმპორტულ საქონელზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობა ასევე დააზარალა 2006 წელს დაბალი ხარისხის მომიზეზებით რუსეთის მთავარი სანიტარისგან წამოსულმა ქართული წარმოშობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რუსეთის ბაზარზე შეტანის აკრძალვამ.⁴⁰

ტურიზმის განვითარების სტიმულირებამ საქართველოში სურსათზე მოთხოვნა გაზარდა, რაც აგრარული კრიზისის პირობებში მხოლოდ იმპორტის ზრდის ხარჯზე კმაყოფილდება. მსოფლიო ეკონომიკაში აგფლაციური პროცესების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში აგფლაციის „იმპორტიც“ მიმდინარეობს.

გასაკვირი არაა, რომ მოსახლეობის 40 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო თვითდასაქმებული მოსახლეობის 64 პროცენტის შემოსავალი საარსებო მინიმუმს არ აღემატება.⁴¹

ეკონომიკური განვითარების მოდელის ძიებაში⁴² საქართველო ფორმალურად (რეალურად გადადგმული ნაბიჯების გათვალისწინების გარეშე) აქტიურ პროპაგანდას უწევდა ევროპულ ორიენტაციას.⁴³ ამის ნათელი მაგალითია მთავრობის ქცევა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევის საქმეში.⁴⁴

ამასთან, პრეზიდენტ სააკაშვილის აზრით, ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველო სინგაპურის მოდელის მიხედვით უნდა ვითარდებოდეს. საქართველოს ეკონომიკის ე.წ. „სინგაპურიზაციის“ გზაზე დაყენებით სააკაშვილის მთავრობა სულ უფრო და უფრო ამორეგბდა საქართველოს ევროკავშირსა და, მთლიანობაში, ეკონომიკის მოწყობის ევროპულ ტიპს.⁴⁵

რას უნდა ველოდოთ 2020 წლისათვის?

2020 წლამდე ეკონომიკის განვითარების შესაძლო სცენარებიდან ფორმალურად შესაძლებელია გამოიყოს მოხმარების მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის შენარჩუნებაზე დაფუძნებული ზემოხსენებული სცენარი. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით (ანუ „პოსტვარდისფერ“ საქართველოში), ამ სცენარის განხორციელების ალბათობა ფაქტობრივად ნულს გაუტოლდა, ვინაიდან არჩევნებში მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციურმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. საარჩევნო კამპანიისას კოალიცია „ქართული ოცნება“, აკრიტიკებდა რა სააკაშვილის მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას, მოსახლეობის ღარიბი ფენის სოციალური მხარდაჭერის პარალელურად აქცენტს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების სტიმულირებაზე აკეთებდა.⁴⁶ ბიძინა ივანიშვილი, ჩაუდგა რა სათავეში თავისივე ჩამოყალიბებულ მთავრობას, წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას შეუდგა.

ახალი რეალიებიდან გამომდინარე, უფრო რეალისტურად გამოიყურება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევის მიზნით ბრიუსელთან მოლაპარაკებათა პროცესის დაჩქარების სცენარი.⁴⁷ ამის იმედს ახალი ხელისუფლების მიერ ანტი-მონოპოლიური რეგულირებისა⁴⁸ და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული ტიპის სისტემის შემოღების თაობაზე გაკეთებული განცხადებები იძლევა.

ანტიმონოპოლიური რეგულირება კონკურენციის განვითარებას შეუწყობს ხელს. „ქართული ოცნების“ ლიდერებმა არაერთხელ განაცხადეს მკაფიოდ,⁴⁹ რომ არ აპირებენ ბიზნესში არაოფიციალურად ჩარევას, რაც საქართველოს ეკონომიკის დემონოპოლიზაციასთან ერთად მნიშვნელოვნად დაეხმარება ბიზნესის განვითარებას.

სავსებით რეალისტურია, რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა მოხდება არა უგვიანეს 2014 წლისა. ეს კი, თავის მხრივ, შექმნის პირობებს, რომ კერძო ინვესტიციების მოზიდვა მოხდეს საქართველოს ეკონომიკის რეალურ სექტორში, რადგან სამუშაო ძალის შედარებითი სიიაფე (ევროკავშირთან შედარებით), ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივებული სისტემა და არცთუ მაღალი გადასახადები (კვლავ ევროკავშირთან შედარებით) შესაძლოა საქართველოს ეკონომიკაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მასტიმულირებელი ფაქტორი აღმოჩნდეს. რადგან ამჟამად ევროკავშირის ეკონომიკა საქართველოს ეკონომიკას 2 000-ჯერ აღემატება,⁵⁰ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი საქართველოს ეკონომიკას, ბაზრის მასშტაბის გასაფართოებლად, ხარისხობრივად უკეთეს პირობებს შეუქმნის.

თუკი საქართველოში ევროკავშირის ბაზრისთვის განკუთვნილი მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება დაიწყება, მაშინ, 2008 წელს თურქეთთან მიღწეული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის გათვალისწინებით,⁵¹ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა თურქულ ბაზარსაც გაუჩნდება.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების მოცემული სცენარი, რომელიც ეფუძნება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმსა და ევროკავშირსა და თურქეთში ექსპორტის ზრდას, საკმაოდ რეალისტურად გამოიყურება.

გამომდინარე იქიდან, რომ შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ზემოხსენებული ქარტიის ხელმოწერიდან ოთხი წლის თავზე თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის თაობაზე მოლაპარაკებათა პროცესი ჯერაც არ დაწყებულა, სავარაუდოა, რომ შესაბამისი შეთანხმება, საუკეთესო შემთხვევაში, 2020 წლისთვის იქნება მიღწეული, ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკაზე ამ ჰიპოთეტური შეთანხმების ზეგავლენა 2020 წლისთვის უკვე პრაქტიკულად უმნიშვნელო იქნება.

ნაკლებად ექვემდებარება პროგნოზებს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების სრული მასშტაბით აღდგენის შესაძლებლობა,⁵² ვინაიდან ეს საკითხი უფრო პოლიტიკური, ვიდრე ეკონომიკური ხასიათისაა.⁵³ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოსა და რუსეთის წევრობა სულაც არ წარმოადგენს საკმარის პირობას ამ ქვეყნებს შორის ვაჭრობის საკითხების მოსაგვარებლად.⁵⁴ ამ

ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების მოგვარების გათვალისწინება 2020 წლისთვის საქართველოს ეკონომიკის განვითარების პროგნოზში პრაქტიკულად შეუძლებელია.

რუსეთთან სრულმასშტაბიანი სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბება, თავის მხრივ, აქტუალობას უბრუნებს აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი და ჯერ კიდევ 1992 წლის აგვისტოში გაჩერებული რუსეთის სომხეთთან საქართველოს გავლით დამაკავშირებელი ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენის მიზანშეწონილობის საკითხს.⁵⁵

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევისა და მის ბაზაზე თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების რეალისტურ სცენარზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2013-2020 წლებში საქართველოში ეკონომიკის საშუალო ზრდა 5-10 პროცენტი იქნება, ანუ უფრო პესიმისტური — საშუალოდ 5-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა — შესაძლოა გლობალური კრიზისული მოვლენებით იყოს განპირობებული, ხოლო უფრო ოპტიმისტური, საშუალოდ 10-პროცენტიანი ზრდა — მსოფლიო ეკონომიკის სტაბილური განვითარებით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 2020 წლისთვის, 2011 წელთან შედარებით, საუკეთესო შემთხვევაში, 2,3-ზე მეტად გაიზრდება და მოსახლეობის ერთ სულზე 7 395,4 აშშ დოლარს შეადგენს (2011 წელს ეს მაჩვენებელი 3 215,4 აშშ დოლარს გაუტოლდა⁵⁶).

მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონის შესახებ მსოფლიო ბანკის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2020 წლისთვის ეკონომიკური ვითარება საქართველოში თითქმის ისეთივე იქნება, როგორც 2011 წელს იყო ევროკავშირის ქვეყნებში – ბულგარეთსა (მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 7 158 აშშ დოლარს შეადგენს) და რუმინეთში (მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 8 405 აშშ დოლარს შეადგენს), მაგრამ უარესი, ვიდრე ლატვიასა (მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 12 726 აშშ დოლარს შეადგენს) და ლიტვაშია (მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 13 339 აშშ დოლარს შეადგენს).⁵⁷

ინვესტიციები უნდა ჩაიდოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, რომელთაც აქვთ ზრდის დიდი პოტენციალი.⁵⁸

საქართველოს ეკონომიკის შედარებითი უპირატესობების გამოსავლენად ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მისი ძირითადი სექტორებია: ტრანსპორტირება, უზინარეს ყოვლისა — ენერგეტიკული რესურსებისა, აგრეთვე — სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა, ჰიდროენერგეტიკა, ტურიზმი.⁵⁹

ბუნებრივია, რომ ზემოხსენებული ეკონომიკური ზრდა სწორედ ამ სექტორების ხარჯზე მიიღწევა, სადაც საქართველო შედარებით უპირატესობას ფლობს.

ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება, ევროპული ტიპის ახალი შრომითი კანონმდებლობის მიღება⁶⁰, აგრეთვე სათანადო სოციალური პოლიტიკა ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

დასკვნა

საქართველოს მთავრობისთვის პირველი რიგის ამოცანა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა და ყველა იმ პოტენციური შესაძლებლობის ამოქმედებაა, რასაც ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია მოიტანს. ამისათვის საქართველოს მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ანტიმონოპოლიური რეგულირების ევროპული მოდელის პირობებში წარმოების განვითარებაზე, მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და შრომით ურთიერთობებზე.

აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის ფარგლებში აუცილებელია აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევაზე მოლაპარაკებათა პროცესის დაწყება. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობები არ იყოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობების სანინააღმდეგო. ამისთვის თბილისის აქტიური ჩართვით საჭირო გახდება ამ პროცესში ბრიუსელსა და ვაშინგტონს შორის დამყარებული შესაბამისი კოორდინაცია.

საქართველოს ახალმა მთავრობამ რუსეთის ბაზარზე ქართული ფირმების დაბრუნებას ხელი არ უნდა შეუშალოს. თვით ფირმებმა კი რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის სამსახურს უნდა წარუდგინონ თავიანთი წარმოებული პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი აუცილებელი დოკუმენტაცია, რომელსაც უნდა დაურთონ ამ საქონლის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბაზარ-

ზე (აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, ჩინეთი, იაპონია და სხვ.) დაშვების მოწმობები. რუსეთის ბაზარზე მათი პროდუქციის დაშვებაზე მორიგი უარის შემთხვევაში კი, საქართველოს მთავრობას ამ ფირმების ინტერესების დაცვა უკვე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მოუწევს.

ამ რეკომენდაციების რეალიზება საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაფართოების სტიმულირებას შეუწყობს ხელს, რაც საციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1 V. Papava, *Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After*. New York: Nova Science Publishers. 2013.
- 2 V. Papava. On the First-Generation Post-Communist Reforms of Georgia's Economy (A Retrospective Analysis). *The Caucasus & Globalization*, Vol. 5, Issue 3-4. 2011.
- 3 V. Papava. The Georgian Economy: Problems of Reform. *Eurasian Studies*, Vol. 2, No. 2. 1995.
- 4 N. Khaduri. Economic System in Georgia. In *Moving Closer to Europe? Economic and Social Politics in Georgia, Armenia and Azerbaijan*. Tbilisi: Friedrich Ebert Stiftung, Centre for Economic Problem Research. 2010, p. 71.
- 5 L. Gurgenzidze, M. Lobzhanidze, and D. Onoprishvili, 1994. Georgia: From Planning to Hyperinflation. *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 6, No. 2. 1994.
- 6 M. Kakulia. Before and After the Introduction of the Lari: Georgian National Currency in Retrospect. In *Central Eurasia: National Currencies*, E. M. Ismailov, ed. Stockholm: CA&CC Press. 2008.
- 7 V. Papava. The Georgian Economy: From 'Shock Therapy' to 'Social Promotion'. *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 8, No. 2. 1996; J.-Y. Wang. From Coupon to Lari: Hyperinflation and Stabilization in Georgia. *Caucasica. The Journal of Caucasian Studies*, Vol. 1. 1998; S. Wellisz. *Georgia: A Brief Survey of Macroeconomic Problems and Policies*. Studies & Analyses, Working Papers, No. 87. Warsaw: CASE. 1996.
- 8 N. Khaduri. Economic System in Georgia, p. 72.
- 9 V. Papava. On the Role of the International Monetary Fund in the Post-Communist Transformation of Georgia. *Emerging Markets Finance & Trade*, Vol. 39, No. 5. 2003.
- 10 M. Kakulia. Before and After the Introduction of the Lari: Georgian National Currency in Retrospect, pp. 183-184.

- 11 N. Khaduri. Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Postcommunist Georgia. *Problems of Economic Transition*, Vol. 48, No. 4. 2005.
- 12 V. Papava. Georgia's Macroeconomic Situation Before and After the Rose Revolution. *Problems of Economic Transition*, Vol. 48, No. 4. 2005.
- 13 I. Meskhia. Living Standards and Poverty in Georgia. *Georgian Economic Trends*, May. 2008. p. 57.
- 14 Fighting Corruption in Public Services. Chronicling Georgia's Reforms. Washington DC: The World Bank. 2012.
- 15 V. Papava. Georgia's Macroeconomic Situation Before and After the Rose Revolution.
- 16 L. Gurgenzidze. Georgia's Search for Economic Liberty: A Blueprint for Reform in Developing Economies. *American Enterprise Institute for Public Policy Research, Development Policy Outlook*, No. 2, June, 2009. <http://www.aei.org/outlook/foreign-and-defense-policy/regional/europe/georgiassearch-for-economic-liberty>; M. Udensiva-Brenner. Kakha Bendukidze Analyzes Georgia's Economic Strategy: How Georgia Handled Its Economy After the War and the Economic Crisis. *At The Harriman Institute*, April 7, 2010. <http://www.harrimaninstitute.org/MEDIA/01716.pdf>.
- 17 *The Big Eviction. Violations of Property Rights in Georgia*. Tbilisi: Human Rights Information and Documentation Center, 2008. <http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/files/Big%20Eviction.pdf>.
- 18 P. Rimple. *Who Owned Georgia*. Tbilisi: Transparency International Georgia, Open Society Georgia Foundation. 2012. http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Who%20Owned%20Georgia%20Eng.pdf.
- 19 *Competition Policy in Georgia*. Tbilisi: Transparency International Georgia. 2012. [http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Report%20%20Competition%20Policy%20in%20Georgia%20-%20for%20website%20\(final\).pdf](http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Report%20%20Competition%20Policy%20in%20Georgia%20-%20for%20website%20(final).pdf).
- 20 Z. Anjaparidze. Georgian Government Questioned about Secret Funds. *Eurasia Daily Monitor, The Jamestown Foundation*, Vol. 3, Issue 71, April 12, 2006. www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews%5Bsword%5D=1ae3e&tx_ttnews%D=Anjaparidze0Zaal&tx_ttnews%5Bpointer%5D=1&tx_ttnews%5BbackPid%5D=b; N. Gujaraidze. *Aggressive Statet Property Privatization Policy on "Georgian-Style Privatization"-2*. Tbilisi: Green Alternative, OSI, 2010. [www.greenalt.org/webmill/data/file/publications/privatization_report_GA_2010\(1\).pdf](http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/privatization_report_GA_2010(1).pdf); N. Gujaraidze, M. Barbakadze, K. Gujaraidze, R. Mchedlishvili, and R. Kakhaber. *Aggressive Statet Property Privatization Policy on "Georgian-Style Privatization"*. Tbilisi: Green Alternative, OSI, 2007. www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Privatizeba-Eng4.pdf.
- 21 S. F. Jones. *Democracy in Georgia: Da Capo?* Cicero Foundation Great Debate Paper, No. 13/02, April, 2013. http://www.cicerofoundation.org/lectures/Stephen_Jones_Georgia.pdf.

- 22 M. Jobelius. Georgia's Authoritarian Liberalism. *South Caucasus—20 Years of Independence*. Tbilisi: Friedrich-Ebert-Stiftung, 2011. <http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/08706.pdf>.
- 23 V. Papava. Anatomical Pathology of Georgia's Rose Revolution. *Current Politics and Economics of the Caucasus Region*, Vol. 2, Issue 1. 2009; T. De Waal. *Georgia's Choices. Charting a Future in Uncertain Times*. Washington, DC: Carnegie Endowment for International Peace. 2011. http://www.carnegieendowment.org/files/georgias_choices.pdf.
- 24 V. Papava. US Elections: Hopes and Expectations from a 'Post-Rosy' Georgia. *Open Democracy*, October 23, 2012. <http://www.opendemocracy.net/odrussia/vladimerpapava/uselectionshopesandexpectations-from-%E2%80%98post-rosy%E2%80%99-georgia>.
- 25 *The Guns of August 2008: Russia's War in Georgia*, S. E. Cornell, and S. F. Starr, eds. Armonk: M. E. Sharpe. 2009.
- 26 *Extraordinary European Council, Brussels. 1 September, 2008, 12594/08. Presidency Conclusions*. Brussels: Council of the European Union, 2008. http://www.consilium.europa.eu/ueDocs/cms_Data/docs/pressData/en/ec/102545.pdf.
- 27 *Georgia: Letter of Intent, Memorandum of Economic and Financial Policies, and Technical Memorandum of Understanding*. September 9. Washington, DC: The International Monetary Fund, 2008, p. 10. <http://www.imf.org/External/NP/LOI/2008/geo/090908.pdf>.
- 28 United States—Georgia Charter on Strategic Partnership. *Civil.Ge*, January 9, 2009. <http://civil.ge/eng/article.php?id=20249>.
- 29 External Trade. *National Statistics Office of Georgia*, 2012. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=137&lang=eng.
- 30 I. Samson. Medium-Term Prospects for the Georgian Economy. *Georgian Economic Trends*, February, 2008, p. 73.
- 31 M. Schmidt. Foreign Direct Investment to Georgia: Can Active Investment Promotion Policies Make a Difference? *Georgian Economic Trends*, January. 2007.
- 32 M. Kakulia. 2007. Labour Migrants' Remittances to Georgia: Volume, Structure and Socio-Economic Effect. *Georgian Economic Trends*, October. 2007.
- 33 V. Papava. *The Economic Development Complex in the Black Sea Area: The Impact of the Global Financial and Economic Crisis*. Xenophon Paper, No. 9. Athens: ICBSS, 2010, p. 46. http://icbss.org/media/113_original.pdf.
- 34 I. Samson. Medium-Term Prospects for the Georgian Economy, p. 74.
- 35 V. Papava. *The Economic Development Complex in the Black Sea Area: The Impact of the Global Financial and Economic Crisis*, p. 46.
- 36 V. Papava. Post-War Georgia's Economic Challenges. *Central Asia-Caucasus Analyst*, Vol. 10, No. 23, November 26, 2008. <http://www.cacianalyst.org/?q=node/4991>.

- 37 M. Tokmazishvili. Socio-Economic and Institutional Aspects of Labour Market. *Georgian Economic Trends*, July, 2007, p. 49.
- 38 Unemployment the Major Problem in Georgia. *The Messenger*, May 10, 2010. http://www.messenger.com.ge/issues/2102_may_10_2010/2102_econ_one.html.
- 39 I. Samson. Medium-Term Prospects for the Georgian Economy, p. 71; M. Tokmazishvili. Socio-Economic and Institutional Aspects of Labour Market, p. 49.
- 40 E. Livny, M. Ott, and K. Torosyan. Impact of Russian Sanctions on the Georgian Economy. *Georgia in Transition*, L. King, and G. Khubua, eds. Frankfurt am Main: Peter Lang. 2009; A. Uzagalieva. Economic Sanctions and Exports in Georgia. *Georgian Economic Trends*, April, 2007.
- 41 I. Meskhia. Living Standards and Poverty in Georgia, p. 57.
- 42 T. Beridze. The National Economic Model and Globalization (the Case of Georgia). *Georgia in Transition*, L. King, and G. Khubua, eds. Frankfurt am Main: Peter Lang. 2009; K. Gogolashvili. In Search of Georgia's Economic Model. *South Caucasus—20 Years of Independence*. Tbilisi: Friedrich-Ebert-Stiftung, 2011. <http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/08706.pdf>; I. Samson. The Search for a Development Path: Challenges for Georgia. *Georgian Economic Trends*, No. 4, March. 2006.
- 43 V. Papava, and M. Tokmazishvili. Becoming European. Georgia's Strategy for Joining the EU. *Problems of PostCommunism*, Vol. 53, No. 1. 2006.
- 44 V. Papava. The Essence of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What about the European Choice? *Georgian International Journal of Science and Technology*, Vol. 1, Issue 1. 2008.
- 45 Я. Израелян. Экономика Южного Кавказа: сближение с Европой? Кавказский акцент, № 11. 2010; В. Максоева. Не Сингапур, а Кипр! Кавказский акцент, № 10, 2010.
- 46 S. F. Jones. *Democracy in Georgia: Da Capo?*, pp. 8-10.
- 47 J. Kobzova. *Georgia's Bumpy Transition: How the EU Can Help*. The European Council on Foreign Relations Policy Memo, April 4, 2013. http://ecfr.eu/page/-/ECFR75_georgia_MEMO_AW.pdf.
- 48 *100 Days in Power: Rule of Law and Human Rights Conference*. Tbilisi: Transparency International Georgia, February 18, 2013, pp. 9-10. <http://transparency.ge/en/node/2791>.
- 49 Ivanishvili Meets Business Leaders. *Civil.Ge*, October 6, 2012. <http://civil.ge/eng/article.php?id=25324>.
- 50 I. Samson. Medium-Term Prospects for the Georgian Economy, p. 75.
- 51 K. Tsikhelashvili, I. Chkhutishvili, T. Shergelashvili, and A. Geybullayeva. *Georgian—Turkish Free Trade Agreement 2008: Implications Two Years After*. Tbilisi: The European

Initiative Liberal Academy Tbilisi, 2011. <http://iliablog2011.files.wordpress.com/2011/03/attachment.pdf>.

52 N. Silaev, and A. Sushentsov. *Georgia after the 2012 Elections and Prospects for Russo-Georgian Relations*. Moscow: Moscow State Institute (University) of International Relations. The Russian Ministry of Foreign Affairs, 2012, p. 62; http://www.mgimo.ru/georgiareport/i/Silaev-Sushentsov_MGIMO-Georgia-Report_Eng.pdf.

53 V. Papava. Economic Component of the Russian-Georgian Conflict. *The Caucasus & Globalization*, Vol. 6, No. 1. 2012. pp. 65-66.

54 V. Papava. The Evolution of Economic Relations Between Georgia and Russia in the Post-Soviet Period: Past Trends and Perspectives. In *Russia and Georgia: Searching the Way Out*. Tbilisi: GFSIS, 2011, p. 60. http://www.gfsis.org/media/download/library/articles/RUSSIA_AND_GEORGIA_SEARCHING_THE_WAY_OUT_English_Publication.pdf.

55 E. Ismailov, and V. Papava. *The Central Caucasus: Essays on Geopolitical Economy*. Stockholm: CA&CC Press. 2006, pp. 114-115.

56 GDP Per Capita (Current US\$). *The World Bank*, 2013. <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD>.

57 GDP Per Capita (Current US\$).

58 V. Burkadze. Structural Adjustments of the Georgian Agricultural Sector. *Georgian Economic Trends*, July. 2007; C. Cordonnier. Georgian Industry: Situation and Prospects for Development. *Georgian Economic Trends*, January. 2007; C. Cordonnier. Financing Georgian Industry. *Georgian Economic Trends*, May. 2008..

59 A. Papaphilippou. Risks for the Sustainability of Georgia's Economic Growth. *Georgian Economic Trends*, February, 2008. p. 49; I.Samson. Medium-Term Prospects for the Georgian Economy, p. 76.

60 *100 Days in Power: Rule of Law and Human Rights Conference*, p.10.